ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2013 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

# ,,ქურთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

,,ქურთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის N2 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, 28/01/2013, 190020020.35.146.016033) დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის $13^1$ მუხლი:

**,,მუხლი $13^1$. კომპაქტურად დასახლებებში მცხოვრებ დევნილთა ოჯახების საახალწლო დახმარება**

1. კომპაქტურად დასახლებებში მცხოვრებ დევნილთა ოჯახებს, ახალი წლისთვის სურსათის პაკეტით (თითოეულ პაკეტში შევა: ერთი 50 კილოგრამიანი ტომარა ფქვილი, 10 ლიტრი ზეთი, 10 კილოგრამი შაქარი, 5 კილოგრამი ბრინჯი, 5 კილოგრამი მაკარონი) დახმარება გაეწევათ ერთჯერადად.

2. დახმარება გაეწევათ სურსათის პაკეტის ადგილზე მიტანით ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოძიებული მონაცემების შესაბამისად“.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქურთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გოდერძი ნებიერიძე